**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

ხელნაწერის უფლებით

ნინო ბარნაბიშვილი

# ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურა სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის - წყალტუბოს - არქიტექტურულ-მხატვრულ და სტილისტურ თავისებურებებთან კონტექსტში

სადოქტორო პროგრამა - არქიტექტურათმცოდნეობა

შიფრი - 1007

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2022 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი
არქიტექტურის საფუძვლების, თეორიისა და სახვითი ხელოვნების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფესორი მაია დავითაია
არქიტექტურის დოქტორი

რეცენზენტი: პროფესორი ნინო იმნაძე
არქიტექტურის დოქტორი

ასოცირებული პროფესორი მარიანა ოკლეი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

დაცვა შედგება _____ წლის "_____" _____, _____ საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი _____, აუდიტორია _____
მისამართი: 0160, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა – ფაკულტეტის ვებგვერდზე.

ფაკულტეტის სწავლული მდივანი _____

## შესავალი

**კვლევის ობიექტია** ტოტალიტარული პერიოდის სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის - წყალტუბოს არქიტექტურული მემკვიდრეობა. სანატორიუმების, პანსიონატების, სააბაზანოებისა და ბიუვეტების არქიტექტურა და მათი მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები.

იმერეთში, კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარეების რიონისა და გუბისწყლის ხეობაში მდებარე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი წყალტუბოა. კურორტი ზღვის დონიდან 100 მ. სიმაღლეზეა განთავსებული. მის გარშემო ამფითეატრის მსგავსად განლაგებულია ტყის მასივებით დაფარული მთები და კლდეები. კურორტის სუბტროპიკულ ნოტიო კლიმატს მისი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა და სპეციფიკური რელიეფი განსაზღვრავს. მთის მასივებით ერთგვარად შემოსაზღვრული ეს ადგილი დაცულია ცივი ატმოსფერული შეღწევადობისგან. ერთ დროს წყალტუბო მთელი სსრკ-ს ტერიტორიაზე ყველაზე თბილი ბალნეოლოგიური კურორტი იყო, რომელიც თბილი, მზიანი დღეების არსებობით ხასიათდებოდა. ტენიანობა მაღალია, რასაც მის გარშემო არსებული მთების მასივები და შავი ზღვიდან მონაბერი ჰაერის თბილი მასები განაპირობებს. მათგან ზაფხული უფრო მეტად გამოირჩეოდა ტენიანობით, ხოლო ზამთარი ნაკლებად. კურორტის კლიმატი არ ხასიათდება დიდი ქარებით. კურორტისთვის სახასიათო რბილი ზამთარი, მცირე სუსხიანი დღეებითა და ცხელი ზაფხულით, მაღალი ტენიანობით, დისკომფორტს უქმნის დამსვენებლებს. განსაკუთრებით ივლისისა და აგვისტოს თვეებში. შემოდგომა ხასიათდება თბილი და წვიმიანი ამინდებით. აქედან გამომდინარე ყველაზე ხელსაყრელ პერიოდს კურორტზე სამკურნალო-პროცედურების ჩასატარებლად წარმოადგენს გაზაფხული (განსაკუთრებით კი აპრილისა და მაისის თვეები) და შემოდგომა (სექტემბრიდან-ნოემბრამდე).

კურორტი და მისი შემოგარენი რთული რელიეფით, მცენარეული საფარის, მდინარეებისა და ხეობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ზემოხსენებული ტერიტორია მდიდარია ღირსშესანიშნაობებითაც, რომლებსაც წყალტუბოში სამკურნალო-გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩასატარებლად ჩამოსული აქტიური დასვენების მოყვარულნი სტუმრობენ. კურორტის ცენტრალური პარკი ქვაბულის მთელ ცენტრალურ ნაწილზეა გადაჭიმული. იგი კურორტის დანარჩენი ნაწილებისგან ბეტონის არხებითაა გამოყოფილი, რომელშიც კალაპოტის შეცვლის შემდეგ მიედინება მდ. წყალტუბოსწყალი. ბეტონის არხებს ჭადრებისა და კვიპაროსების ხეივანი მიუყვებოდა და ერთგვარად საზღვრავდა პარკს, რომელიც მრავალფეროვანი მცენარეული საფარით ერთგვარად ბოტანიკურ ბაღს მოგვაგონებს. პარკში განთავსებულ სააბაზანოებთან და ბიუვეტებთან ერთად გვხვდებოდა: კინოთეატრი, სხვადასხვა დანიშნულების ჯიხური, ცივი სასმელის შესაძენად მოწყობილი პავილიონები და სხვ. სწორედ ამ პარკიდან იხსნება ხედი სასახლე-სანატორიუმებზე, რომლებიც მთებზე და გორაკებზე ტერასებად იყო

შეფენილი. აქ სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოსულნი პარკში საკმაოდ დიდ დროს ატარებდნენ და ხშირად სტუმრობენ „ცივ ტბას“ (ქ. წყალტუბო) და გაბზარული ტბა-რუშავას ჩანჩქერსაც (სოფ. ყუმისთავი).

ქართველი ისტორიკოსის, მეცნიერის, პროფესორის ნ. ბერძენიშვილის ცნობას იმის შესახებ, რომ ადგილობრივ მოსახლეობას წყალტუბოს წყლების სამკურნალო თვისებებზე ცოდნა უძველესი დროიდან ჰქონია. განსაკუთრებული პოპულარობით, ეს წყლები, მეფე თამარის მეფობის პერიოდში (XII ს.) სარგებლობდა. აქ არსებული აბანოები სამეფო კარის საკუთრებას წარმოადგენდა. ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ სწორედ აქ ისვენებდნენ და მკურნალობდნენ თამარ მეფის მეომრები.

წყალტუბოს შესახებ ჩვენამდე მოღწეული პირველი წერილობითი ცნობები XIII საუკუნეში ჩნდება. მათ მიერ აღწერილ გელათის მონასტრის შემოწირულობების წიგნში აღნიშნულია, რომ წყალტუბოს სამკურნალო წყაროები და აბანოები მეფემ გელათის მონასტრის წინამძღვარ იაკობს გადასცა და XIII-XIV საუკუნეებში წყალტუბო კვლავ მეფეთა საკუთრებაში გადავიდა. 1586 წ. წყალტუბოს მარცხენა სანაპირო მეფე გიორგიმ თავად წულუკიძეს უბოძა. XVII საუკუნის 60-იან წლებში მარჯვენა სანაპიროს მიდამოები კი იმერეთის მეფე ალექსანდრე სოლომონის ძე ბაგრატიონმა ეზია იოსელიანს გადასცა.

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა, მრავალსაუკუნოვანმა ომებმა წყალტუბოს ტერიტორიასაც დაამჩნია კვალი. XVIII-XIX საუკუნეებში აქ არსებული შენობა-ნაგებობების უმეტესი ნაწილი განადგურდა, დარჩენილი ნაწილი კი დაზიანდა, რასაც მოწმობენ ამ პერიოდის ისტორიული წყაროები. ნაშრომიდან ვიგებთ, რომ დამსვენებლებს ღია ცის ქვეშ, დაზიანებულ აუზებში უწევდათ ბანაობა. მიტოვებულ შენობებში სახურავებიდან ჩამოსული წვიმის წყალი ძველ აუზებსა და აბანოებს ავსებდა. ეს ფაქტი ხშირად მეცნიერთა კრიტიკის საგანი ხდებოდა. პირობების არარსებობის გამო წყალტუბოში ჩასვლა მხოლოდ წლის თბილ პერიოდში შეეძლოთ.

XVIII-XIX საუკუნეებში სამკურნალო წყაროებით განთქმული წყალტუბო ხდება მეცნიერთა, მკვლევართა ინტერესის სფერო. მიუხედავად იმისა, რომ ამ წყლების ქიმიური ანალიზი სრულყოფილი სახით არ იყო ჩატარებული საქართველოში შემოსული მოგზაურები მაინც ამახვილებდნენ ყურადღებას მათ მნიშვნელობაზე და თავიანთ ჩანაწერებში აღნიშნავდნენ კიდეც.

სხვადასხვა დროს კურორტზე კვლევებს ატარებდნენ მეცნიერები და მკვლევარები: ა. ოგილვი, ა. ოვჩანიკოვი, ა. ჯანელიძე. ქიმიკოსები: ს. შჩუკარევი, რ. კუპცისი. კლინიცისტები: ი. ვალედინსკი, ვ. ბიხოვსკი, გ. წითლანაძე, მ. ტყემელაძე, შ. მიქელაძე, ა. ალადაშვილი, მ. დიტერიხსი, რ. როზეი. ფიზიოლოგები: ა. რიკლი, გ. ვაწაძე, დ. გედევანიშვილი. რადიოლოგი: ე. შეპოტოვა და სხვ.

კურორტის შესწავლაზე მუშაობდნენ და დიდი ღვაწლი შეიტანეს: ტ. კარტოზია, გ. ზედგინიძე, ო. შავიანიძე, რ. მესხრიკაძე, ა. სიმონიან-ფარცხალაძე, ო. ამაღლობელი, ს. სანაძე და სხვ.

**თემის აქტუალობა.** თემა აქტუალურია იმ კუთხით, რომ კურორტი - წყალტუბო მითითებული პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამკურნალო-დასასვენებელი ცენტრია. სსრკ-ს დაშლის შემდგომ (25 დეკემბერი, 1991 წ.), 1990-იანი წლების სამოქალაქო ომმა, ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ვითარებამ კურორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოშლა გამოიწვია, სანატორიუმებმა, პანსიონატებმა, სააბაზანოებმა ფუნქციონირება შეწყვიტეს. ამას დაემატა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა შესახლება ზოგიერთი სანატორიუმის შენობაში. წლების მანძილზე ვერ მოხერხდა სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ამ პროცესს და შედეგად შენობათა უმეტესობა დაინგრა ან სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. არსებობს ერთი რამ, რის განხილვაც აუცილებელია. საქართველო მდიდარია თავისი წარსულით და ამ წარსულის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვა გარდუვალია და ახალი დროით მოტანილი ცვლილებების ფონზე აქტუალურია. წყალტუბოს არქიტექტურული მემკვიდრეობა დღეს დიდი გამოწვევების, კერძოდ განადგურება-შენარჩუნების ზღვარზე დგას. ეს დროულ ქმედებას მოითხოვს და საკმაოდ რთულ პროცესს მოიცავს. არქიტექტურული საზოგადოებაც თითქოს წყალტუბოში მიმდინარე პროცესების, წამოჭრილი რთული პრობლემების გადაწყვეტისა და აქტიურ მონაწილეობაში ჩართვის მიღმა დარჩა. სამკურნალო-დასასვენებელი კურორტი ხომ ქართველი და უცხოელი სტუმრების, დამსვენებლების საყვარელ ადგილად შეიძლება იქცეს და საქართველოს ერთ-ერთ გამორჩეულ არქიტექტურულ საგანძურად წარმოჩნდეს. ჩვენი ნაშრომი ამ საკითხების გადაწყვეტას, შესწავლასა და ანალიზს ეხება, რაც წინ გადადგმულ ნაბიჯად გვესახება.

**კვლევის მიზანია** კურორტ - წყალტუბოს შესახებ არსებული ინფორმაციის, კვლევების, ლიტერატურის, საარქივო მასალის, დოკუმენტაციის მოძიება, გაცნობა, შესწავლა და ანალიზის ჩატარება. საკვლევი მასალის სისტემატიზაცია და შედარებითი ანალიზის ჩატარება. ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურის სტილური თავისებურებების გამოვლენა და მათი ასახვა წყალტუბოს სანატორიუმების, სააბაზანოების, პანსიონატებისა და ბიუვეტების არქიტექტურულ სახეზე. სსრკ-ს ტერიტორიაზე, ამავე პერიოდში აშენებული სამკურნალო-დასასვენებელი ბალნეოლოგიური კურორტების მიმოხილვა ისტორიულ კონტექსტში. ტოტალიტარული პერიოდის ხუროთმოძღვრული მიდგომების გამოვლენის საფუძველზე ნაციონალურ ტრადიციასთან კავშირის დადგენა.

**თემის სიახლე**. ჩვენს მიერ შერჩეული თემა 1935-55 წწ. არქიტექტურის შესწავლის, ლოზუნგის „ფორმით ნაციონალური შინაარსით სოციალისტურის“

გააზრებისა და მისი გაანალიზების საფუძველზე კურორტ წყალტუბოს არქიტექტურული მემკვიდრეობის მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების გამოვლენის და ქართულ ნაციონალურ მოტივებთან მათი კავშირის დადგენის პირველი მცდელობაა. ქართულ ენაზე არ არსებობს სათანადო კომპლექსური კვლევები, სამეცნიერო ლიტერატურა წყალტუბოს სამკურნალო შენობების არქიტექტურასა და დეკორატიული მოტივების შესახებ. ინფორმაცია მიმოფანტულია და არა სრულყოფილი, ზედაპირული და დაუზუსტებელი. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა შეეხო იმ საკითხების საფუძვლიან განხილვას, რომლებიც მანამდე მეცნიერთა კვლევის მიღმა რჩებოდა. მოხდა კურორტის ყველა სანატორიუმის, პანსიონატის, სააბაზანოსა და ბიუვეტების არქიტექტურული სახის დადგენა, რაც კვლევის სიახლეს წარმოადგენს.

**ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება**. დასმული საკითხის კვლევა სასარგებლო იქნება ამ თემით დაინტერესებულ პირთათვის, წყალტუბოს სანატორიუმების რესტავრაცია-კონსერვაციის გეგმის შემუშავებისას, მომავალში ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისას, კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს წყალტუბოსა და მის არეალში მომავალი მშენებლობების წარმართვის დროს, რაც შეავსებს უკანასკნელი წლების მანძილზე ჩატარებულ მცირე მასშტაბიან კვლევებსა და ინფორმაციის დანაკლისს.

**კვლევის მეთოდოლოგიას** წარმოადგენს არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, საარქივო მასალის, დოკუმენტაციის შესწავლა-მიმოხილვა, სამეცნიერო-კვლევითი მონაცემების სისტემატიზაცია და განვრცობა, კვლევები ნატურიდან და ფოტო ფიქსაცია.

**კვლევის ამოცანები:**

- მოძიებული ლიტერატურის, დოკუმენტური მასალის, საარქივო წყაროების შეჯერების საფუძველზე გაკეთდეს ტოტალიტარული პერიოდის წყალტუბოს არქიტექტურული მემკვიდრეობის კვლევა ისტორიულ კონტექსტში;
- მოპოვებული მასალის საფუძველზე შედარებითი ანალიზის გაკეთება;
- საკვლევი პერიოდის არქიტექტურის ძირითადი მახასიათებლების დადგენა;
- სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის - წყალტუბოს სანატორიუმების, პანსიონატების, სააბაზანოებისა და ბიუვეტების არქიტექტურული და მხატვრულ-სტილისტური ანალიზი;
- 1935-55 წწ. სსრკ-ს ბალნეოლოგიური კურორტების არქიტექტურის მიმოხილვა და მათში ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების გამოვლენა;

- ხუროთმოძღვრული მიდგომების გამოვლენის საფუძველზე ნაციონალურ ტრადიციასთან კავშირის დადგენა სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის - წყალტუბოს არქიტექტურულ მემკვიდრეობაში.

**ნაშრომის აპრობაცია.** ნაშრომი აპრობირებულია სამ კოლოკვიუმსა და ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე. კვლევის დასკვნების მიხედვით გამოიცა სამი სამეცნიერო სტატია.

**კოლოკვიუმები:**

1. „ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურული მემკვიდრეობის თავისებურებების გამოვლენა სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის-წყალტუბოს კომპლექსის არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაზე“. 24.02.2021
2. „სტალინისტური პერიოდის არქიტექტურის მხატვრულ-სტილისტურ-კომპოზიციური გადაწყვეტის თავისებურებები რუსეთში (სამკურნალო-დასასვენებელი კურორტების მაგალითზე“. 20.07.2021
3. „ეროვნულ მოტივებთან კავშირის დადგენა წყალტუბოს სანატორიუმების მაგალითზე“. 19.02.2022

**კონფერენციები:**

1. მ. დავითაია, ნ. ბარნაბიშვილი, „სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის - წყალტუბოს აღმშენებლობის ისტორია“, სტუ-ს არქ. ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციის კრებული, „თბილისის თანამედროვე არქ. და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები “ონლაინ კონფერენცია. 15.12.2020

**გამოქვეყნებული სტატიები:**

1. მ. დავითაია, ნ. ბარნაბიშვილი, „სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის - წყალტუბოს ფორმირებისა და განვითარების საკითხი“. სტუ-ს არქ. ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციის კრებული, „თბილისის თანამედროვე არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ ონლაინ კონფერენცია კოვიდ-19-გამოწვევები არქიტექტურაში, 2020 წ. N13, გვ.36
2. ნ. ბარნაბიშვილი, „სტალინური არქიტექტურის მხატვრულ-სტილისტურ-კომპოზიციური გადაწყვეტის თავისებურებები რუსეთში (სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსების მაგალითზე)“, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი N16. 2021 წ. გვ.3-11
3. მ. დავითაია, ნ. ბარნაბიშვილი. „სამკურნალო-დასასვენებელი კურორტ წყალტუბოს ტოტალიტარული პერიოდის სანატორიუმებისა და სააბაზანოების მხატვრულ-დეკორატიული მოტივები ეროვნულ

ტრადიციასთან კონტექსტში“, სტუ-ის შრომები - Works og GTU – Труды ГТУ, N1 (523), 2022, 183-196.

**დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა.** სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც გაფორმებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციის მიხედვით, შედგება 167 ნაბეჭდი გვერდისგან - სატიტულო გვერდის, ხელმოწერების გვერდის, საავტორო უფლების გვერდის, მადლიერების გვერდის, ორენოვანი (ქართული, ინგლისური) რეზიუმეს, ილუსტრაციების ნუსხის, ძირითადი ტექსტის (შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევა, შედეგები და განსჯა, დასკვნები და რეკომენდაციები).

**სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი**

დისერტაციის შესავალში დასაბუთებულია ნაშრომის აქტუალობა, ფორმულირებულია კვლევის მიზანი და ამოცანები, განსაზღვრულია მეცნიერული სიახლე და კვლევის შედეგების პრაქტიკული ღირებულება.

სტრუქტურულად დისერტაცია ოთხი თავისგან შედგება: თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა, თავი II. ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურული მემკვიდრეობის თავისებურებების გავლენა სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის, წყალტუბოს, არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაზე, II.1 ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურა, II.2 ტოტალიტარული პერიოდის წყალტუბოს სამკურნალო-დასასვენებელ კურორტად ჩამოყალიბების ისტორიული ასპექტი, II.3 სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის, წყალტუბოს, სანატორიუმების, პანსიონატების, სააბაზანოების არქიტექტურულ-სტილისტური თავისებურებები ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურასთან კონტექსტში, II.4 წყალტუბოს 1935 წლამდე და 1955 წლის შემდგომი პერიოდის სანატორიუმები, პანსიონატები და სააბაზანოები, თავი III. ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურულ-მხატვრული და სტილისტური თავისებურებები სსრკ-ს სამკურნალო-დასასვენებელი ბალნეოლოგიური კურორტების ისტორიულ კონტექსტში, თავი IV. სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის, წყალტუბოს, სანატორიუმების, პანსიონატებისა და სააბაზანოების მხატვრულ-სტილისტური გადაწყვეტები ნაციონალურ მოტივებთან კონტექსტში.

**დისერტაციის პირველ თავში** განხილულია სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის - წყალტუბოსა და მისი არქიტექტურის შესახებ, ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურის, სსრკ-ს ბალნეოლოგიური კურორტებისა და ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ არსებული ლიტერატურა.

სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის, წყალტუბოს, შესახებ ლიტერატურულ წყაროებში არსებული მასალა მრავლადაა და მათში აღწერილია კურორტის შესახებ არსებული ზოგადი ცნობები: გეოგრაფიული მდებარეობა,

კლიმატური თავისებურებები, წყაროების თვისებებისა და მათი სამკურნალოდ გამოყენების კონკრეტული მაგალითები, თუმცა, ლიტერატურაში ინფორმაცია წყალტუბოს სანატორიუმების, სააბაზანოებისა და პანსიონატების არქიტექტურულ-მხატვრულ და სტილისტურ თავისებურებების შესახებ ინფორმაცია მწირია და არა სრულყოფილი. ამ საკითხის უკეთ გაცნობის მიზნით მოვიძიეთ და შევისწავლეთ ლიტერატურულ წყაროებში - წიგნებში, ალბომებში, პერიოდულ გამოცემებში, საარქივო დოკუმენტებში არსებული მასალები და მკვლევართა მოსაზრებები (ვ. წითლანაძე, მ. ჯუღელი, ი. ა. გიულდენტშტედტი, პ. პალასი, ი. ფონ კლაპროთი, ა. შჩუსევი, კ. მორეტი, ო. შავიანიძე, გ. შავიანიძე, მ. შავიანიძე, მ. ბუცხრიკიძე, ზ. აბზიანიძე, ს. ივანოვი, დ. ხმელნიცკი, ო. ზინოვიევა და სხვ.).

კვლევით გამოიკვეთა ინფორმაციის უზუსტობა, რამაც გამოიწვია გადამოწმება და დაზუსტება სხვა წყაროების ხარჯზე. კერძოდ, ხვამლის კირქვული მასივის, შხარას, თეთნულდის, იალბუზის, ლიხის ქედის, აჭარა-იმერეთის ქედისა და სხვათა სიმაღლეები.

კვლევაში დაზუსტდა და განვრცობილ იქნა წყალტუბოს გარშემო არსებული ღირსშესანიშნაობების შესახებ ცნობები, რომელთა შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობდა და სრულყოფილად არც ერთ ნაშრომში არ იყო თავმოყრილი. აქედან გამომდინარე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა თითქმის ყველა შუა საუკუნეების ნაგებობა (საკულტო, საფორტიფიკაციო და სხვ.). მოძიებულ იქნა ბუნების ძეგლები, მუზეუმები, რაც შესაძლოა ტურიზმის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

მოძიებულ ლიტერატურაში შეუსაბამოდ წარმოჩნდა ავტორთა და მეცნიერთა ინიციალები და გვარები, რაც გადამოწმებისა და დაზუსტების შემდგომ დადგინდა. დაზუსტდა ინფორმაცია ზოგიერთი შენობის აგების თარითან, სახელწოდებასთან დაკავშრებით.

ჩვენს მიერ განხილული ზოგიერთი წიგნის ავტორი არ აკონკრეტებდა წიგნის სრულ სახელწოდებას, გამომცემლობას, გამოშვების წელს და პერიოდულ გამოცემაში ტომს ან ნომერს, რაც ლიტერატურის მოძიების მხრივ სირთულეს წარმოადგენდა. ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურაში ცდომილებების არსებობის გამო მოხდა ამ ინფორმაციის დადგენა და დაზუსტება.

**დისერტაციის მეორე თავი,** ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურული მემკვიდრეობის თავისებურებების გავლენა სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის, წყალტუბოს, არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაზე - ოთხ ქვეთავად იყოფა.

**პირველ ქვეთავში** ვსაუბრობთ სტალინური არქიტექტურის ჩასახვასა და მისი განვითარების ეტაპებზე, რაც იმხანად სსრკ-ში მიმდინარე პოლიტიკურ,

ეკონომიკურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, ზოგადად მიმოვიხილავთ ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურას, ამ პერიოდში გავრცელებულ არქიტექტურულ სტილთა მახასიათებლებს და ა.შ.

1925 წლის 18 მაისს ი. სტალინმა აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური უნივერსიტეტის შეკრებაზე სტუდენტებთან წარმოსთქვა: „შინაარსით პროლეტარული, ფორმით ნაციონალური, სწორედ, ასეთია ხალხთა საერთო კულტურა, რომლისკენაც იღწვის სოციალიზმი. პროლეტარული კულტურა არ ცვლის ნაციონალურ კულტურას, არამედ, აძლევს მას შინაარსს და პირიქით, ნაციონალური კულტურა არ ცვლის პროლეტარულ კულტურას, არამედ აძლევს მას ფორმას.“[1] სტალინის ამ მიმართვამ განსაზღვრა ამ პერიოდის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და სტილური თავისებურებები.

სტალინის პერიოდის არქიტექტურას სხვადასხვა ავტორი სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებულ მასალაში მოიხსენებს ტოტალიტარული არქიტექტურის სახელწოდებით. არქიტექტურის ისტორიკოსი დ. ხმელნიცკი აღნიშნავს[2], რომ „ამ პერიოდის არქიტექტურის ტოტალიტარობა გამოიხატება არა მანამდე გამოყენებულ ნეოკლასიციზმის სტილისტიკაში, არამედ, არქიტექტორებისთვის წართმეულ თავისუფალ ნებაში... პარტიული ფუნქციონერები უარყოფდნენ ავანგარდს, სხვა თანამედროვე მიმართულებებსა და მისწრაფებებს. აქედან გამომდინარე, ერთადერთი რაც ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტორებს შეეძლოთ ეკლექტიკისა და ისტორიზმის გამოყენება იყო...“

დიმიტრი ხმელნიცკი სტალინური და ჰიტლერის პერიოდების არქიტექტურის მსგავსებაზეც საუბრობს: „ამ ორ სტილთა შორის მსგავსება იმდენად ცხადია, რომ ისინი ერთი სახელწოდებით მოიხსენება - ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურა და ეს ტერმინი თავის თავში მოიცავს ყველა მსგავსებას, სახასიათო ნიშანს, რომელიც ამ ორ სტილს აერთიანებს. ერთი შეხედვით ყოველივე ზემოთქმული შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ: ტოტალიტარულმა რეჟიმმა დაბადა ტოტალიტარული არქიტექტურა და პრინციპში ამ მარტივი წინადადებიდან უკვე ცხადი ხდება ყველაფერი... ტოტალიტარული იდეოლოგია ტოტალიტარული ესთეტიკის მატარებელია. ფაშისტურმა შეხედულებებმა ფაშისტურ არქიტექტურაში ჰპოვა ასახვა.”

მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა ლე კორბუზიე 1932 წლის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის არქიტექტორებისადმი მიძღვნილ წერილში: „მთელი მსოფლიო ფიქრობს, რომ სწორედ თქვენ გაქვთ ახალი

---

[1] Сталин И. О политических задачах университета народов Востока. Речь на собрании студентов КУТВ. 18 мая 1925 г. Сталин И.В. *Сочинения.* Москва. Государственное издательство политической литературы, 1952. Т. 7. С. 138.

[2] Хмельницкий Д. Архитектура Сталина: Психология и стиль. Москва. Прогресс-Традиция. 2007.

არქიტექტურა...“[3] ლე კორბუზიე გულისხმობდა, რომ იმ პერიოდში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის არქიტექტურამ უარი თქვა მონუმენტურ-დეკორატიული მოტივების გამოყენებაზე, რაც ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურის საპირისპიროდ გაჟღერდა.

ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურის დამკვიდრების თარიღად მიიჩნიეს 1933 წ. ბორის იოფანის მიერ „საბჭოების სასახლის“ პროექტის დამტკიცების დრო, რაც შემდგომ გაგრძელდა 1955 წლამდე, კერძოდ ნიკიტა ხრუშოვის განკარგულების გამოცემამდე, რომელიც გმობდა გასულ ათწლეულში არქიტექტურაში არსებულ ზედმეტობებს.

ომამდელი პერიოდის ტოტალიტარული არქიტექტურა განსხვავდება ომისშემდგომი პერიოდის არქიტექტურისგან. ომამდელი პერიოდის შენობა-ნაგებობებში ვხვდებით არტ დეკოს სტილის გადამუშავებულ ვარიანტებს, კონსტრუქტივიზმის ნარჩენებს, ვენეციური და ხმელთაშუაზღვისპირეთის სტილთა გავლენებს, წაგრძელებული თაღები, ფრესკები და სხვ.

სტალინის ომამდელი პერიოდის არქიტექტურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არტ-დეკოს სტილს. საბჭოთა პერიოდში არტ-დეკოს სტილის აქტიური გამოყენება ვ. გელფრეიხის, ა. დუშკინას, ა. ლანგმანის, ე.ლევინსონასა, ბ. იოფანის, დ. ფრიდმანის, ვ. შჩუკოსა და სხვათა სახელებთანაა დაკავშირებული.

1937, 1939 წლების საერთაშორისო გამოფენებზე წარმოდგენილმა პავილიონებმა საბოლოოდ დაადასტურა ახალი არქიტექტურული სტილის არსებობა. პირველად, სწორედ ამ გამოფენების მეშვეობით გახდა ცნობილი არტ-დეკოს „გადამუშავებული“, ახლებური, საბჭოური ვერსიებით აგებული შენობები. დიდი სამამულო ომის პერიოდში და ომისშემდგომ ათწლეულში არტ-დეკოს სტილმა. საბჭოთა კავშირში, რეტროსპექტივიზმის მკაფიო ნიშნები შეიძინა, მაგრამ, ამასთანავე, არ დაკარგულა არტ-დეკოს სტილის მთავარი პრინციპები და მახასიათებლები სახასიათო ნიშნებად გვევლინებოდა: თანამედროვე კონსტრუქტივისტული გადაწყვეტების არსებობა, კანონზომიერება და მკაფიოება, ნაციონალური მოტივები და მდიდრული მოსაპირკეთებელი მასალები.

არტ-დეკოს კვალდაკვალ ნეოკლასიციზმსაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურაში. საბჭოური ნეოკლასიციზმი გვთავაზობდა ანტიკურობისა და აღორძინების ეპოქისთვის სახასიათო ელემენტებს, რომელთაც ჯერ კიდევ რევოლუციამდელი არქიტექტორები ქმნიდნენ. ნეოკლასიციზმისთვის სახასიათო ნიშან-თვისებებს პროექტებში აქტიურად იყენებდნენ: ი. ჟოლტოვსკი, ი, ფომინი, ვ. შჩუკო და სხვანი.

[3] Цит. по: Перевод письма Ле Корбюзье, переданного через М.Я. Гинзбурга / Самохина Т.Н. Из истории создания Союза советских архитекторов. К 75-летию творческого Союза зодчих. Москва. 2007. С. 133.

1943 წლიდან შემუშავებული პროექტების განხორციელება დაიწყო, რადგან 1945 წლიდან აღმშენებლობის პროცესს და არქიტექტურას დიდი ყურადღება ეთმობა. არქიტექტურა ერთგვარ „იარაღად“ იქცა ხალხში ოპტიმისტური განწყობის შემოსატანად. სწრაფი ტემპებით დაწყებულმა მშენებლობებმა ხალხს უკეთესი მომავლის იმედი ჩაუსახა.

ომისშემდგომმა პერიოდმა გავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების არქიტექტურულ პროცესებზე. არქიტექტურაში აისახა ომისდროინდელი მოვლენები. აუცილებლობად შეიქმნა, ომში დაღუპულთა სახელების უკვდავსაყოფად, მემორიალური შენობა-ნაგებობების აშენება. ომისშემდგომ პერიოდში არქიტექტურა წარმოადგენდა „იდეოლოგიურ ინსტრუმენტს“.

ომისშემდგომი ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურაში შეიმჩნეოდა ორი მნიშვნელოვანი ტენდენცია: 1. ტრიუმფალური არქიტექტურული გადაწყვეტების ძიება, ტენდენცია, რომელშიც გასათვალისწინებელი იყო კლასიკური არქიტექტურული მემკვიდრეობის გავლენა. 2. ტენდენცია, რომელიც მასიური, კოლექტიური მშენებლობების საკითხს ეხებოდა.

ზემოჩამოთვლილ სტილთა შორის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში შემავალ ყველა ქვეყანაში, იქნებოდა ეს არქიტექტურა, მონუმენტური თუ დეკორატიული ხელოვნება, ყველაზე მოწინავე პოზიციაზე მყოფ მიმართულებად „სტალინური ამპირი“ ითვლებოდა. იგი თავის თავში აერთიანებდა ბაროკოს, ნაპოლეონის ეპოქის ამპირის, გვიანი კლასიციზმის, პოსტკონსტრუქტივიზმის, არტ-დეკოსა და ნეოგოთიკის სტილებისთვის სახასიათო ელემენტებს. ეს სტილი იყო პომპეზურობის, ფუფუნების, დიდებისა და მონუმენტურობის განსახიერება.

სტალინური ამპირის არქიტექტურაში ფასადები ხაზგასმული იყო კომპოზიტური ორდერით, ცოკოლის სართულებზე ხშირად გამოიყენებოდა რუსტი, მთავარ განმასხვავებელ ნიშნად შენობებში პორტიკი და პარადული საფასადო კომპოზიცია წარმოჩნდებოდა. აქტიურად იყენებდნენ არქიტექტურულ ორდერებს, მოზაიკებსა და ბარელიეფებს, სხვადასხვა სიმბოლოს, რომლებიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანების დიდებას ხაზს უსვამდა. ამ სიმბოლოების გარდა კომპოზიციებში გამოისახებოდა მუშათა ყოველდღიური ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი სცენები, მებრძოლები და სხვ. შენობათა გაფორმებისას იყენებდნენ მარმარილოსა და გრანიტს.

წარსული გამოცდილებიდან განსხვავებით სტალინისტური ამპირი გავრცელდა და გამოიყენებოდა არა მხოლოდ სახელმწიფო მნიშვნელობის, არამედ სხვადასხვა დანიშნულების შენობებშიც.

სტალინურ ამპირში ინტერიერის გასაფორმებლად ბუნებრივი მასალა, ხე და მარმარილო გამოიყენებოდა ინტერიერში ვხვდებოდით მასიური ხის ავეჯს კვეთილი ორნამენტებითურთ, ამ ორნამენტებზე ხუთქიმიანი ვარსკვლავის,

დაფნის გვირგვინსა და სხვა გამოსახულებებს. შენობების ინტერიერისთვის სახასიათო იყო ბრინჯაოს ბროლის ჭაღები.

სტალინური ამპირის ეპოქის დასრულება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ, 1955 წლის 4 ნოემბერს, მიღებული N1871 გადაწყვეტილებაში გაჟღერდა.

**მეორე ქვეთავში** ტოტალიტარული პერიოდის წყალტუბოს სამკურნალო-დასასვენებელ კურორტად ჩამოყალიბების ისტორიულ ასპექტს განვიხილავთ. ქვეთავში განხილულია ყველა ის მოვლენა, რომლებმაც გავლენა იქონია წყალტუბოს კურორტად ფორმირების საკითხზე და გენგეგმის შემუშავებაზე.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიხედვით თითოეულ მუშაკს ჰქონდა უფლება მიეღო კუთვნილი დასვენების დღეები. ისინი ისვენებდნენ სპეციალურად აგებულ დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებში, რომლებიც სსრკ-ს ტერიტორიაზე იყო მიმოფანტული. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენდა. თავისებური, თვითმყოფადი, კოლორიტული, სუბ-ტროპიკული რბილი კლიმატის, ფერადოვანი ლანდშაფტის, ბუნებრივი სამკურნალო წყაროების გამო წყალტუბოს ტერიტორია დიდი პოპულარობით სარგებლობდა საბჭოთა ელიტის წარმომადგენელთა შორის. განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო მას ამფითეატრის მსგავსი, ტერასებად განლაგებული, რადიალურ-წრიული გეგმარება აქვს. კურორტის ცენტრში განთავსებულია ბალნეოლოგიური ზონა სააბაზანოებითურთ.

წყალტუბოში აღმშენებლობითი სამუშაოები დაიწყო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან: ექსპლუატაციაში შევიდა პირველი სააბაზანო შენობა, სამკურნალო წყაროების ირგვლივ რამდენიმე აუზი შეიქმნა, კეთილმოეწყო საცხოვრებელი სახლები. კურორტის ინტენსიური განაშენიანება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დაიწყო.

სხვადასხვა დროს წყალტუბოში 22 სანატორიუმი, პანსიონატი და სასტუმრო ფუნქციონირებდა: „რიონი“ (მოგვიანებით „იმერეთის“ II კორპუსი), „ცისკარი“, „სამგურალი“, „საკურორტო სამმართველოს სანატორიუმი N1” (შემდგომში პანსიონატი „წყალტუბო„), „მეგობრობა“, “საბჭოთა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი საკურორტო სამმართველოს კლინიკური სანატორიუმი” (შემდგომში “ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალი”), სანატორიუმი „წყალტუბო“ (უწინ სასტუმრო „ფაზისი“) და „სტალინის აგარაკი“, პანსიონატ-პოლიკლინიკა „სავანე“, “სამხედრო სანატორიუმი”, „რკინიგზელი“, „იმერეთი“, „თბილისი“, „მეშახტე“, „მეტალურგი“, „გელათი“ („მეტალუგის“ II კორპუსი), „ივერია“ („მეშახტეს“ II კორპუსი), „მედეა“, „სინათლე“, „გეოლოგი“, „აია“, „საქართველო“, სასტუმრო „ინტურისტი“, რომელიც გარკვეულწილად ითავსებდა სანატორიუმის ფუნქციებს

და აუცილებლობის შემთხვევაში შეეძლო სამკურნალო-პროცედურების ჩასატარებლად დამსვენებელთა მიღება, 9 სააბაზანო: N1 („ძველი აბანო“), N2 („აფხაძის წყარო“, „საგუბერნატორო სააბაზანო“), N3 („კოდის წყალი“), N4 („ეპისკოპოსის სააბაზანო“, „ეპისკოპოსის აბანო“), N5 („წისქვილის წყარო“, „ახალი სააბაზანო“), N6 („დიდი სააბაზანო“), N7, N8, N9 და ორი ბიუვეტი: კუჭის წყარო N4ა – „კუჭის წყალი“, „სილამაზის წყარო“ N7ა.

1990 წლის მონაცემებით წყალტუბოში ფუნქციონირებდა 16 სანატორიუმი, 2 პანსიონატი, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტი, საკურორტო ბიურო, ბალნეოლოგიური დაწესებულებების სამმართველო, საკურორტო პოლიკლინიკა, დედებისა და ბავშვებისთვის ფუნქციონირებდა სანატორიუმი „გელათი“.

1992 წლის აგვისტოში, აფხაზეთის  დამოუკიდებლობის გამოაცხადების შემდეგ,  ლტოლვილთა ნაწილმა წყალტუბოს მიტოვებულ სანატორიუმებს შეაფარა თავი.

ბოლო წლებში წყალტუბოსადმი განსაკუთრებული ინტერესი შეინიშნება. გაიზარდა ინტერესი სახელმწიფოს მხრიდანაც. 2012 წლის 14 სექტემბერს საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წყალტუბოს რეაბილიტაციის პროექტის დაწყება დააანონსა, რომლის მიზანი წყალტუბოს თანამედროვე საკურორტო ქალაქად გადაქცევა გახლდათ. ლტოლვილებისთვის დაიწყო ახალი საცხოვრებელი ადგილების ძიების პროცესი. კურორტის რეაბილიტაციის პროექტი, უმეტესწილად, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელდა, კერძოდ „ცივი ტბის“ ტერიტორიაზე მცირე ზომის  ნაგებობების მშენებლობა, რადიალურ-წრიული გეგმარების მქონე კურორტის გზების რეაბილიტაცია.

2014 წ. საპარტნიორო ფონდის დაკვეთით, ,,წყალტუბოს სპა კურორტის განვითარების ტექნიკური წინადადება“ შემუშავდა. დოკუმენტში წარმოდგენილი ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტები და ქალაქ-კურორტის განვითარების საპროექტო წინადადებები ქალაქის მთლიანი სივრცით-გეგმარებითი სტრუქტურის ანალიზს ეფუძნება. იგი დამატებით მოიცავს აქ არსებული საინვესტიციოდ შერჩეული შენობა-ნაგებობების ინვენტარიზაციისა და კვლევის შედეგებსაც. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ექსპერტთა შეფასებით, შესწავლილი თექვსმეტი ობიექტიდან თორმეტი კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსს იმსახურებს და გადაწყდა, რომ ძეგლებზე მხოლოდ სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებაა შესაძლებელი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 დეკემბრის №2653 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაევალა ქალაქ წყალტუბოს განვითარების მიზნით, დასაგეგმარებელი ტერიტორიის საორიენტაციო საზღვარში, ქალაქმშენებლობითი

დოკუმენტაციის შემუშავებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. სამინისტრომ, კანონმდებლობის შესაბამისად, საპროექტო მომსახურების მომწოდებლის შერჩევის პროცედურა დაიწყო. საპროექტო მომსახურების მომწოდებელს დაევალა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შენობა-ნაგებობებისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმაში მათი გათვალისწინება. მათივე განცხადებით შესაძლო ძეგლებისა თუ ობიექტების გამოვლენის საკითხები განხილული და ასახული უნდა ყოფილიყო ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმაში.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 აგვისტოს N1654 განკარგულების თანახმად კვლავ აღდგა სამკურნალო-დასასვენებელი კურორტი წყალტუბოს განვითარებისთვის ღონისძიებათა დაგეგმვის პროცესი.

2020 წლის 20 სექტემბერს სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის, წყალტუბოს, გენერალური გეგმის კონცეფციის შესადგენად საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ბაუ დიზაინმა“ გაიმარჯვა. გენერალურ გეგმაზე მომუშავეთა ჯგუფი ქართველი და უცხოელი სპეციალისტებით დაკომპლექტდა: საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელი - მარკო არდიელი, საპროექტო ჯგუფი შპს „ბაუ დიზაინი“: მიშა ბალიაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, შოთა დემეტრაშვილი, ნინო ხარშილაძე, ნუცა ლომსაძე, ელისაბედ არჩვაძე, საპროექტო ჯგუფის კონსულტანტები: ფერუჩიო ტაზინატო, პაოლა ფორნაზა, ეკონომიკური ჯგუფი შპს „ვერიტას ბრაუნ კავკაზუს“: ნინო ყიფიანი, გიორგი ჯაფარიძე, თეკლა იაშაგაშვილი, ეკონომიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: ფრედერიკ ლე ფიშე, ეკონომიკური ჯგუფის კონსულტანტები: დევიდ ნათი, ანდრე კაციროვა, კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტი: თამარ ამაშუკელი, მობილობის ექსპერი: გიორგი კანკია, იურისტი: ეკა მაძღარაშვილი, ტურიზმის ნაწილი „საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია“: ნატალია ბახტაძე-ენგლენდერი, ილია ოქრომელიძე, გარემო პირობების ნაწილი „გარემოსდაცვითი სამართლის და აუდიტის ცენტრი“: კახა ბახტაძე, ირაკლი ქობულია, არჩილ ხორბალაძე, ცოტნე გიორგაძე, გრიგოლ ხასია, ელენე მგალობლიშვილი, ზურაბ ურუშაძე, ირაკლი მეგრელიძე.

გენერალური გეგმის კონცეფციის საჯარო განხილვა გაიმართა 2021 წლის 20 აგვისტოს, ქ. წყალტუბოში, სანატორიუმ „მედეას“ ტერიტორიაზე. განხილვაზე წარადგინეს ქ. წყალტუბოს გენერალური გეგმის შესამუშავებლად გაკეთებული წინასწარი კვლევის დოკუმენტაცია, ჩატარებული სამუშაოების ანგარიში, გენერალური გეგმის სკოპინგის პროცედურასთან დაკავშირებული მასალა და კურორტის განვითარების ხედვა, რომელიც ქ. წყალტუბოს საერთაშორისო სტანდარტების ტურისტულ ადგილად ქცევას მოიაზრებს.

**მესამე ქვეთავში** ვსაუბრობთ სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის, წყალტუბოს, სანატორიუმების, პანსიონატების, სააბაზანოების არქიტექტურულ-სტილისტური თავისებურებების შესახებ ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურასთან კონტექსტში. განხილულია ამ პერიოდში აგებული სანატორიუმები, სააბაზანოები, პანსიონატები.

**მეოთხე ქვეთავში** ზოგადად მიმოვიხილავთ 1935 წლამდე და 1955 წლის შემდგომი პერიოდის სანატორიუმებს, პანსიონატებს, სასტუმროსა და სააბაზანოებს. ვფიქრობთ, რომ ამ ქვეთავის გარეშე ზემოხსენებული თემის კვლევა არასრულფასოვანი იქნებოდა, ვინაიდან სწორედ ამ შენობებთან ერთად ქმნის ტოტალიტარულ პერიოდში აგებული შენობები წყალტუბოს ერთიან, ურბანულ ქსოვილს და განსაზღვრავს მის იერსახეს.

ამრიგად, კვლევისას გამოიკვეთა ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურისთვის სახასიათო ნიშან-თვისებები და მხატვრულ-სტილისტური გადაწყვეტის თავისებურებები: არქიტექტურული ორდერების გამოყენება, ბარელიეფებსა და ჰერალდიკურ კომპოზიციებში მუშათა შრომის, დასვენების, გამარჯვებული ხალხის ზეიმის, ტრიუმფისა და სსრკ-ს დიდების ამსახველი სიუჟეტები, სიმბოლური გამოსახულებები, ისტორიულ პირთა ერთფიგურიანი გამოსახულებები, მრავალფიგურიანი რელიეფური ჩანართები, მონუმენტური კომპოზიციები, მასალა: მარმარილო, ბრინჯაო, ხე, თაბაშირი და სხვ.

პ. მამრაძის ჰიდროტექნიკურ საფუძველზე შექმნილმა გეგმამ განსაზღვრა წყალტუბოს აღმშენებლობის ეტაპები. მრავალჯერ შეცვლილ გეგმარებაში შენარჩუნდა რადიალურ-წრიული კომპოზიცია და ზონებად დაყოფა.

არქიტექტურული თვალსაზრისით წყალტუბოში აგებული სანატორიუმები, პანსიონატები, სააბაზანოები და სასტუმრო „ინტურისტი“ სხვადასხვა არქიტექტურული სტილისთვის სახასიათო ნიშან-თვისებებს ავლენს. არქიტექტურულ სტილთა შორის წყალტუბოში ვხვდებით: კლასიციზმის ნიმუშებს, ნეოკლასიციზმის ნიმუშებს, კონსტრუქტივიზმის მაგალითებს, მოდერნიზმის სტილის შენობებს.

არქიტექტურაში იკვეთება ხელოვნებათა სინთეზის მაგალითები.

**დისერტაციის მესამე თავში განხილულია** ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურულ-მხატვრული და სტილისტური თავისებურებები სსრკ-ს სამკურნალო-დასასვენებელი ბალნეოლოგიური კურორტების ისტორიულ კონტექსტში.

ლოზუნგი “ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური“ განსხვავებულად აღიქვეს სსრკ-ს რესპუბლიკებში ტოტალიტარულ პერიოდში. ნაციონალურ ტრადიციებთან კავშირი არქიტექტურული ფორმით, სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალით ან დეკორით გამოვლინდა. საინტერესოა როგორ

გაიაზრეს და გამოიყენეს არქიტექტორებმა ეს ლოზუნგი სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, სააბაზანოებისა თუ პანსიონატების მოწყობისას.

1940 წ. სტალინის მიმართვას ერთგვარად გამოეხმაურა რუსი არქიტექტორი ა. შჩუსევი სტატიაში[4] „ნაციონალური ფორმა არქიტექტურაში“, რომელშიც საუბრობს: „ჩვენთვის, საბჭოთა ხუროთმოძღვართათვის უმთავრესი და სრულიად გადაუდებელი ამოცანაა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური არქიტექტურის შექმნა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მრავალეროვანი გაერთიანება ქმნის საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ფორმებს და შესაბამისად იქმნება ახალი ფორმები ხელოვნებაში. ერთი განუყოფელია მეორისგან, ამიტომ ჩვენთვის რუსულ არქიტექტურაში ნაციონალური ფორმის ძიება ისევე, როგორც სსრკ-ს სხვა ერებში, ვერ შეეთვისება არქაული დეტალებით ტკბობასა, თუ ძველი ხუროთმოძღვრებიდან ცალკეული არქიტექტურული ფრაგმენტების კოპირებას. ნოვატორობა და კოპირება ერთმანეთთან საერთოდ შეუთავსებელია კულტურაში, ხოლო არქიტექტურაში მჭიდრო კავშირშია სამშენებლო ხელოვნებასა და ტექნიკასთან“. ა. შჩუსევი ასევე აღნიშნავს: „ნაციონალური ფორმის საკითხი თითოეულ ერთან თავისებურად წყდება, თუმცა არქიტექტურაში სტილის პრობლემის გადაწყვეტის პრინციპები აქ იდენტურია. საჭიროა შევისწავლოთ ის, რაც მხატვრულად ფასეულია გასული ეპოქების არქიტექტურაში და დაგეგმარებისას და დაპროექტებისას გავითვალისწინოთ ყოფითი ეკონომიკური და კულტურული მოთხოვნები იმ ერისა, რომლისთვისაც ვქმნით...“.

კურორტების განვითარების გეგმის შედგენისას, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების არქიტექტურის მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების გადაწყვეტისას, სსრკ-ს ტერიტორიაზე, ერთიანი, წინასწარ გაწერილი, „შაბლონური“ პრინციპები იყო გასათვალისწინებელი. მათი მხატვრული გადაწყვეტა საერთო სტილისტური ნიშნებისა და გამომსახველობის ხერხების მატარებელია. 1930-50-იან წლებში, საბჭოთა არქიტექტურაში, ანტიკური პომპეზურობისა და ანტიკური სამყაროს მიმბაძველობით შექმნილი დეკორი გამოიყენებოდა. ანტიკური სამყაროს არქიტექტურიდან აღებული მოტივები, ფორმები ჰარმონიულად ერწყმოდა შენობის ფასადზე, თუ ინტერიერში გამოყენებულ მცენარეულ მოტივებსა და დეკორატიულ ელემენტებს, ვხვდებით ძალაუფლების სიმბოლოებს, ზეთის ხილის რტოებსა და აკანთის ფოთლებს, ყურძნის მტევნის გამოსახულებებს (რუსეთის სამხრეთ ნაწილში აგებულ სანატორიუმებში), გამარჯვების, შრომისა და წინსვლის ამსახველ სიუჟეტებს, ორდერულ სისტემას, არქიტექტურულ-დეკორატიულ პანოებს, რომლებიც

[4] Щусев А., Национальная форма в архитектуре, Журнал „Архитектура СССР». Орган Государственного комитета по гражданскому строительству и архитектуре при Госстрое СССР и Союза Архитекторов СССР. Издательство литературы по строительству. Москва. 1940. N12. გვ. 53-57.

ჰარმონიულად ეწერებოდა გარემოში და ლანდშაფტური პეიზაჟის ნაწილი ხდებოდა. ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურაში გაჟღერდა ის ძირითადი თემები და მოტივები, როგორებიცაა მასიური, ჭრილებიანი კარნიზები, დიდი ზომის ქანდაკებები, ფიგურებით დეკორირებული შენობები, კოლონები, ფასადის მოპირკეთებისას მარმარილოს ჩანართების გამოყენება და სხვ.

სსრკ-ში სამკურნალო-დასასვენებელი კურორტების მშენებლობის ისტორია პირობითად ოთხ ეტაპად იყოფა: პირველი ეტაპი - 1917-დან 1930-იანი წლების დასაწყისამდე, მეორე ეტაპი - მოიცავს 1930-იან წლებს (1930-41 წწ.), მესამე ეტაპი - 1941-50-იან წლებს, მეოთხე ეტაპი - 1960-70-იან წლებს.

ეს ეტაპები სსრკ-ს რესპუბლიკებში სხვადასხვაგვარად წარმოჩნდა. ზემოხსენებულ თავში ძირითად მაგალითებად მოგვყავს რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის სანატორიუმები და სააბაზანოები, რაც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ როგორ იცვლებოდა და რა ტენდენციები შეიმჩნეოდა სსრკ-ს სხვადასხვა რესპუბლიკაში სანატორიუმებისა და სააბაზანოების აგების კუთხით. უზბეკეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ბელორუსიის, მოლდოვას, ლატვიის, ლიეტუვასა და ესტონეთის გამოცდილებებს სამკურნალო-დასასვენებელი ბალნეოლოგიური კურორტების აღმშენებლობის მაგალითზე არ განვიხილავთ რადგან ზემოჩამოთვლილი რესპუბლიკებიდან ნაწილში ბალნეოლოგიური კურორტები საერთოდ არ ფიქსირდება, ნაწილში ჩვენ საკვლევ პერიოდში სანატორიუმები არ იგება და ახლის აგების ნაცვლად გამოიყენება XIX-XX საუკუნეების ფუნქცია შეცვლილი შენობები, ნაწილში კი არ ვლინდება ტოტალიტარული პერიოდისთვის სახასიათო არქიტექტურული და მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები.

ამ ეტაპების შესწავლა საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ თუ რა ტენდენციები შეიმჩნეოდა სამკურნალო-დასასვენებელი კურორტების მშენებლობის საკითხში, რა იყო მსგავსი ან განმასხვავებელი ნიშნები ამ ეტაპებს შორის, როგორ იცვლებოდა არქიტექტორთა მიდგომები ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების შესაბამისად და ა. შ.

ამ კუთხით ყურადღება გავამახვილეთ სსრკ-ს ტერიტორიაზე ტოტალიტარულ პერიოდში აშენებულ იმ ბალნეოლოგიური კურორტების არქიტექტურაზე, რომლებიც ამავე პერიოდის წყალტუბოს არქიტექტურულ და მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებებთან პოულობენ პარალელს.

**დისერტაციის მეოთხე თავში განხილულია** სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის, წყალტუბოს, სანატორიუმების, პანსიონატებისა და სააბაზანოების მხატვრულ-სტილისტური გადაწყვეტებს ნაციონალურ მოტივებთან კონტექსტში განხილვას ეთმობა.

სტალინის მიმართვამ განსაზღვრა 1920-იან წლებში არქიტექტურული ძეგლების მხატვრულ-დეკორატიული მოტივებით დამშვენების, მათი

რელიეფებით შემკობის საკითხი, რაც აქტიურად მუშავდებოდა. ტოტალიტარული პერიოდის საქართველოში ეს თავისებური ინტერპრეტაციით გამოჩნდა. არქიტექტურული ძეგლების მხატვრული გაფორმებისას აქტიურად გამოიყენებოდა ნაციონალური მოტივები, რაც ქართული ყოფისთვისა და ძველი სატაძრო არქიტექტურისთვის დამახასიათებელი დეკორატიული ელემენტების გამოყენებაში გამოიხატა. ამაში ხედავდნენ ნაციონალური არქიტექტურული სტილის შექმნას.

ნ. ჯანბერიძისა და ს. კინწურაშვილის წიგნში საუბარია საქართველოში ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოკვეთილ ტენდენციაზე, გამოეყენებინათ ნაციონალური არქიტექტურული ფორმები და დეკორის ელემენტები. ავტორები აღნიშნავენ, რომ ქართველი არქიტექტორების მიერ ნაციონალური ფორმების ხელახალი აღორძინების მცდელობას, რუსეთის იმპერიის გავლენის გამო, შესაბამისი საფუძველი და არც შემდგომი განვითარების პერსპექტივა არ ჰქონდა.[5] აქედან გამომდინარე, საქართველოში პროცესი ნელი ტემპით, ეტაპობრივად ვითარდებოდა და საბჭოთა პერიოდში აქტიური სახე მიიღო.

ტოტალიტარული პერიოდის საქართველოში ნაციონალური არქიტექტურული ფორმებისა და მხატვრულ-დეკორატიული ელემენტების ფართო გამოყენებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თბილისის სამხატვრო აკადემიასა და სახელმწიფო უნივერსიტეტში 1922 წლიდან ნაციონალური მემკვიდრეობის, მათ შორის კი მნიშვნელოვანწილად არქიტექტურის მიმართულებით დაწყებულმა აქტიურმა კვლევებმა და არქიტექტორთა კვალიფიციურმა მომზადებამ. ამას მოჰყვა ვ. ლენინის სახელობის ზემო-ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა (ზაჰესი), რომლის პროექტიც არქიტექტორებმა ა. კალგინმა, კ. ლეონტიევმა და მ. მაჭარაშვილმა ნაციონალურ არქიტექტურულ სტილში შეასრულეს. აქვე უნდა გავიხსენოთ საქართველოს მუზეუმის რეკონსტრუირებული შენობაც (1929 წ.), რომლის პროექტშიც არქიტექტორმა ნ. სევეროვმა უხვად გამოიყენა ნაციონალური არქიტექტურული მოტივები და გადაწყვეტები. თემას აგრძელებს 1930 წ. არქიტექტორ ნ. მადათოვის პროექტით სამხრეთ კავკასიის რკინიგზის ხაზის სამმართველოს მეორე კორპუსის საფასადო გაფორმებაც. 1935 წლამდე უფრო ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც არქიტექტორებს „ბრმად“, უცვლელი სახით გადმოჰქონდათ შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურული ფორმები და ელემენტები. ამის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს 1926-28 წწ. დ. ჩისლევის პროექტით აგებული ტრამვაელთა საცხოვრებელი, ვ. იაკუბოვიჩის მიერ 1928 წ. დაპროექტებული კომუნალური ბანკის თანამშრომელთა საცხოვრებელი და სხვ.

წინა წლებთან შედარებით, 1935 წლიდან ხშირი აღარაა ნაციონალური არქიტექტურული ფორმებისა და მოტივების უცვლელი სახით, კოპირების

[5] ჯანბერიძე ნ., კინწურაშვილი ს. „საბჭოთა საქართველოს არქიტექტურა“. მოსკოვი. თბილისი. 1958.

მცდელობები და ნიჰილისტური დამოკიდებულება მემკვიდრეობის მიმართ. ამას მეტწილად ხელი შეუწყო იმ ძიებებმა და მცდელობებმა, რომლებიც 1920-იანი წლების მეორე ნახევრიდან აქტიურად შეიმჩნეოდა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. დიდი დრო დასჭირდა კლასიკური და ნაციონალური არქიტექტურული ფორმებისა და ელემენტების, დეკორატიული მოტივების ჰარმონიულად ურთიერთშერწყმას.

მოგვიანებით, შეიმჩნევა ნაციონალური მოტივების, დეკორატიული მოტივებისა და ორნამენტების ჭარბი გამოყენების ტენდენცია. იმხანად მოღვაწე ხელოვნებათმცოდნეების უმეტესი ნაწილი გულისტკივილს გამოთქვამდა, რომ შენობათა დეკორატიული მოტივებით დამშვენებამ იმდენად გაიტაცა არქიტექტორები, რომ მეორეხარისხოვანი გახდა ფუნქციონალური მოთხოვნების გათვალისწინებით კომფორტული შენობების აგება. საქართველოში ე.წ. „ზედმეტობების“ კუთხით გამოარჩევდნენ რამდენიმე შენობას: კ. ჩხეიძის „საქნახშირის“ კომბინატის ადმინისტრაციული შენობა (1954 წ.), ნ. ფირცხალაიშვილისა და გ. თავდგირიძის სასტუმრო „ინტურისტი“ თბილისში, გ. ტერ-მიქელოვის თბილისის სადგურის შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (1953 წ.) და სხვ. ნ. ჯანბერიძე, ს. კინწურაშვილი წიგნში „საბჭოთა საქართველოს არქიტექტურა“ ამ პერიოდში საქართველოში აგებულ შენობათა შორის, რომელთა მხატვრულ გადაწყვეტაში ე.წ. „ზედმეტობები“ შეინიშნებოდა, წყალტუბოში არსებული ერთ-ერთი სანატორიუმი „მეშახტეს“ I კორპუსი სახელდება (არქიტექტორები: მ. მელეგი, გ. ხიმშიაშვილი, 1952 წ.).

ნაციონალურობის საკითხზე მსჯელობისას ვახტანგ დავითაია ამბობს, რომ: „ნაციონალურის ცნება იცვლება სივრცესა და დროში. „ზედმეტობის“ პერიოდში, ჩვენში ეროვნულის ცნება გულისხმობდა ტრადიციული არქიტექტურული ფორმებისა და მეთოდების მეტნაკლებად პროფესიულ გამოყენებას, დღეს ეროვნული - ეს არის არა ფორმალური ნიშნების, არამედ ფსიქოლოგიის, სულიერი წყობის, ტემპერამენტისა და ატმოსფეროს სიღრმეთა წვდომა.“

ძიებებთან ერთად ნაციონალური ტრადიციის გამოყენების კუთხით შეიმჩნეოდა ქართული ნაციონალური და კლასიკური არქიტექტურის აღრევის მცდელობები, რასაც ხშირად ეკლექტივიზმისა და სტილიზატორობისკენ მივყავდით.

მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ არქიტექტორების, მ. ჩხიკვაძისა და კ. ჩხეიძის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობა (1949-53 წწ. ნაციონალურ ტრადიციასთან კავშირი აქ ძირითადად დეკორში ვლინდება), არქიტექტორ ა. შჩუსევის მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის (იმელის) შენობა თბილისში (1934-38 წწ. ინტერიერისა და ექსტერიერის გაფორმებისას

გამოყენებული იყო ქართული არქიტექტურული ელემენტები). სტატიაში[6] ა. შჩუსევი მარქსის, ენგელსისა და ლენინის ინსტიტუტი შესახებ საუბრობს: „თბილისში მარქსის, ენგელსისა და ლენინის ინსტიტუტის დაპროექტებისას მე ვხელმძღვანელობდი ძველი ქართული არქიტექტურის მოტივების გამოყენების პრინციპით, მასზე საბერძნეთის, რომისა და ბიზანტიის გავლენის გათვალისწინებით. ვეცადე, არქიტექტურული და სკულპტურული ფორმების კომბინაციით, გამომეხატა ქართველთა ბრძოლა ერის განთავისუფლებისთვის. შენობის აგებისას გამოიყენეს ადგილობრივი მასალა - ბოლნური ტუფი, ტეშენიტი, გრანიტი, ფერადი მარმარილოს რამდენიმე სახე, სომხური კონგლომერატი და სხვ. მეტალის ნაწილების დეტალების დასამზადებლად კი ადგილობრივი ოსტატების ნამუშევრები - იუველირების, მჭედლების (საპარადო კარის სახელურები)." სამშენებლო და მოსაპირკეთებელ მასალებს ძალიან დიდი ყურადღება ექცეოდა და ხშირ შემთხვევაში საქართველოში არსებული ტაძრები არქიტექტორების ინსპირაციის წყარო ხდებოდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებით მოხიბლული არქიტექტორები ცდილობდნენ მსგავსი მასალის გამოყენებას თანამედროვე ნაგებობებში. ზოგ შემთხვევაში სწორედ ეს გახდა კარგად მივიწყებული კარიერიერების თავიდან აღმოჩენისა და მათი „ხელახალი დაბადების" მიზეზი.

ის ტენდენციები, რომლებიც ამ პერიოდის ქართულ არქიტექტურაში წარმოჩნდა აისახა სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის წყალტუბოს არქიტექტურულ-მხატვრულ და სტილისტურ თავისებურებებზეც. ლოზუნგი „ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური" საქართველოში განსხვავებულად გამოვლინდა. კერძოდ, შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისა და ქართული ეთნოგრაფიული ყოფისთვის დამახასიათებელი დეკორის ელემენტებისა და არქიტექტურული ფორმების გამოყენებაში, მასალაში, სივრცის გააზრებაში. ოსტატები ყოველმხრივ ცდილობდნენ ნაციონალურობის საკითხის წინ წამოწევას.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ ნაციონალურ ტრადიციასთან კავშირი გვხვდება წყალტუბოს შემდეგ სანატორიუმებსა და სააბაზანოებში: „წყალტუბო", „მეგობრობა", „მეშახტე", „ივერია" („მეშახტეს მეორე კორპუსი"), „მეტალურგის" I კორპუსი, „გელათი" (მეტალურგის მეორე კორპუსი), იმერეთი, „სამხედრო სანატორიუმი" (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმი), "საბჭოთა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი საკურორტო სამმართველოს კლინიკური სანატორიუმის შენობაზე"

[6] Щусев А., Национальная форма в архитектуре, Журнал „Архитектура СССР». Орган Государственного комитета по гражданскому строительству и архитектуре при Госстрое СССР и Союза Архитекторов СССР. Издательство литературы по строительству. Москва. 1940. N12. გვ. 53-57.

(შემდგომში “ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალი”), სააბაზანო N6, სააბაზანო N7, სააბაზანო N8.

საბოლოო **დასკვნები** ეყრდნობა ჩვენს მიერ გაკეთებული კვლევის შედეგების გაანალიზებას. დისერტაციის ბოლოში წარმოდგენილია **რეკომენდაციები**, რომლებიც სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კურორტის - წყალტუბოს ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული.

## დასკვნები

1. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ წარმოდგენილ ლიტერატურულ წყაროებში წყალტუბოს შესახებ ინფორმაცია უმეტესწილად აერთიანებს მასალას კურორტის გეოგრაფიული მდებარეობის, ლანდშაფტის, კლიმატის, წყლების სამკურნალო თვისებების, მათი გამოყენებისა და უკუჩვენებების შესახებ ცნობებს. ინფორმაცია ტოტალიტარული პერიოდის სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის - წყალტუბოს არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე, მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებებზე არასრულყოფილი და არაზუსტია. წინამდებარე ნაშრომი მასალის სრულყოფილი მოძიების, შეჯერებისა და ანალიზის ჩატარების პირველ მცდელობას წარმოადგენს.

2. კვლევისას გამოიკვეთა ტოტალიტარული პერიოდის არქიტექტურის სახასიათო ნიშან-თვისებები, მხატვრულ-სტილისტური გადაწყვეტის თავისებურებები:

- არქიტექტურული ორდერების გამოყენება და მათში ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი ნიშნებისა თუ სიმბოლოების დამატება (კაპიტელებში ვარსკვლავის გამოსახულება);
- ბარელიეფებსა და ჰერალდიკურ კომპოზიციებში მუშათა შრომის, დასვენების, გამარჯვებული ხალხის ზეიმის, ტრიუმფისა და სსრკ-ს დიდების ამსახველი სიუჟეტების აღნიშვნა. გვხვდებოდა სიმბოლური გამოსახულებები: ფასცები, გვირგვინები, შუბები და სხვ.;
- ტრადიციულ პორტრეტულ ბიუსტებთან ერთად, ისტორიულ პირთა ერთფიგურიანი გამოსახულებები, მრავალფიგურიანი რელიეფური ჩანართები, მონუმენტური კომპოზიციები;
- არქიტექტურაში ხელოვნებათა სინთეზის მაგალითები;
- ინტერიერებისთვის პომპეზური, მდიდრული ელფერის მისაცემად მასალად მარმარილოს, ბრინჯაოს, ხეს, თაბაშირს და სხვ. გამოყენება.

3. არქიტექტურული თვალსაზრისით წყალტუბოში აგებული სანატორიუმები, პანსიონატები, სააბაზანოები და სასტუმრო „ინტურისტი“ სხვადასხვა არქიტექტურული სტილისთვის სახასიათო ნიშან-თვისებებს ავლენს.

მრავალჯერადი გადაკეთების შედეგად, ფასადებზე ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო ბევრმა შენობამ დაკარგა პირვანდელიი სახე. ზემოთქმულის გათვალისწინებით თავდაპირველი პროექტით ჩაფიქრებული სტილური მახასიათებლები ზოგან ნაწილობრივ შეიცვალა, ზოგან კი მთლიანად. არქიტექტურულ სტილთა შორის წყალტუბოში ჩვენ მიერ ზემოთგანხილულ შენობებში ვხვდებოდით: კლასიციზმის ნიმუშებს (მაგ. „ცისკარი“, „სტალინის აგარაკი“), ნეოკლასიციზმის ნიმუშებს („სამხედრო სანატორიუმი“, „რკინიგზელი“, „თბილისი“, „იმერეთი“, „მეშახტეს“, „მეტალურგი“, „ივერია“ – იგივე „მეშახტეს II კორპუსი“, „მედეა“, „გელათი“ - იგივე „მეტალურგის II კორპუსი“, „სავანე“, სააბაზანოები N5, N6, N1), კონსტრუქტივიზმის მაგალითებს („მეგობრობა“ სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებამდე, სააბაზანო N3 და სხვ.), მოდერნიზმის სტილის შენობებს („სინათლე“, „გეოლოგი“, „ინტურისტი“, „აია“, „საქართველო“, „სამგურალი“, სააბაზანოები N4, N8, N9).

4. სამკურნალო-დასასვენებელი კურორტების მშენებლობის ოთხივე ეტაპი მნიშვნელოვან, სახასიათო ნიშნებს ატარებს. პირველ ეტაპზე სანატორიუმებს ჰქონდა მცირე რაოდენობის დამხმარე შენობა-ნაგებობები, სამკურნალო და საკვები ბლოკები უმეტესწილად განთავსდა საძილე კორპუსებში. სანატორიუმების არქიტექტურა ერთის მხრივ ატარებდა კონსტრუქტივიზმის ნიშნებს, არქიტექტურული კომპოზიციის გამომსახველობას იმდროინდელი ოსტატები პროპორციის ხარჯზე და მარტივი ფორმების არტიკულაციით აღწევდნენ. მეორე და მესამე ეტაპებზე ხდება კლასიკური პრინციპების ხელახალი გააზრება და შემდგომი განვითარება უკვე ორი მიმართულებით: ერთის მხრივ ამ პრინციპების ინტერპრეტაცია გამოიხატებოდა მთელი სანატორიუმის ანსამბლის აგებაში, რაც ერწყმოდა კორპუსების მოცულობითი გადაწყვეტის ნოვატორულ ძიებას. მეორეს მხრივ კომპოზიციის აგების კლასიკური მიდგომების გვერდით შესამჩნევია კლასიკური არქიტექტურის ელემენტების გამოყენება, რომლებიც სტილიზებული დეკორის როლში გვევლინება. მეოთხე ეტაპი საინტერესოა იმ კუთხით, რომ აქ ვხვდებით მშენებლობის ახალ მეთოდებს და კონსტრუქციულ მიდგომებს.

5. რუსეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში სანატორიუმებსა და სააბაზანოების არქიტექტურასა და მხატვრულ-სტილისტური გადაწყვეტებში იკვეთება ტოტალიტარული პერიოდისთვის სახასიათო ნიშან-თვისებები, კლასიკური და ნაციონალური არქიტექტურული ფორმებისა და დეკორის ელემენტებით. კონკრეტული რეგიონის კლიმატურ-გეოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებით, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის კუთხით, სახასიათო და მნიშვნელოვანი ელემენტები ან სიუჟეტები შეიძლება დაემატებინათ. მნიშვნელოვანი ტენდენცია იკვეთება უკრაინის ბალნეოლოგიურ კურორტ ტრუსკავეცში, სადაც ძირითად წამყვან თემად წარმოჩნდა ფუნქციონალიზმის მოტივები, რაც განმასხვავებელ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ.

6. სსრკ-ს ზოგიერთ რესპუბლიკაში (უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ლატვია, ლიეტუვა, ესტონეთი) 1935-55 წწ. კურორტების გენგეგმათა კონცეფციის შემუშავებასა და კეთილმოწყობას დაეთმო. ამან მნიშვნელოვნად შეაფერხა ტოტალიტარული პერიოდისთვის სახასიათო შენობების აგების პროცესი და ამიტომ, სამკურნალო პროცედურების ჩასატარებლად XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში აგებულ შენობებს იყენებდნენ. ამ პერიოდის ბელარუსიასა და მოლდოვაში არ ფიქსირდება ბალნეოლოგიური კურორტების არსებობა.

7. თითოეული სანატორიუმის შემადგენლობაში არსებული სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების აღმართვისას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ადგილმდებარეობის თავისებურებებიდან გამომდინარე ითვალისწინებდნენ რელიეფს. კლიმატური პირობების, ბუნებისა და სხვათა გავლენით თითოეული სანატორიუმი იძენდა ინდივიდუალურ სახეს.

8. სსრკ-ში შემავალ რესპუბლიკებში სხვადასხვაგვარად გაიაზრეს ფრაზა „ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური“. ზოგან ნაციონალურ ტრადიციასთან კავშირი მასალის კუთხით გამოვლინდა, ზოგან ხუროთმოძღვრული ფორმების გამოყენების ან დეკორის კუთხით. საქართველოში ნაციონალურ ტრადიციასთან კავშირი გამოიხატა სამივე მიმართულებით.

9. დაპროექტებისა და მშენებლობის პროცესში იმჟამინდელი არქიტექტორები და მშენებლობის ხელმძღვანელები დიდ ყურადღებას აქცევდნენ არა მხოლოდ შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშების დეკორის ელემენტების შესწავლასა და მათ გამოყენებას შენობათა ინტერიერსა თუ ექსტერიერში არამედ იმ მასალასაც, რომლითაც ესა თუ ის ტაძარი იყო აგებული. ამიტომ, როდესაც ნაციონალურ ტრადიციასთან კავშირზე ვსაუბრობთ დეკორის ელემენტებთან ერთად აუცილებლად უნდა ვახსენოთ მასალაც, რომელსაც ასევე დიდი როლი ენიჭებოდა ნაციონალურ ტრადიციასთან კავშირის კუთხით.

10. კვლევისას გამოიკვეთა, რომ ნაციონალურ ტრადიციასთან კავშირი გვხვდება წყალტუბოს შემდეგ სანატორიუმებსა და სააბაზანოებში: „წყალტუბო“, „მეგობრობა“, „მეშახტე“, „ივერია“ („მეშახტეს მეორე კორპუსი“), „მეტალურგის“ I კორპუსი, „გელათი“ (მეტალურგის მეორე კორპუსი), იმერეთი, „სამხედრო სანატორიუმი“ (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმი), სააბაზანო N6, სააბაზანო N7, სააბაზანო N8. ვისაუბრეთ ზემოხსენებულ სანატორიუმებსა თუ სააბაზანოებში გამოყენებულ: რელიეფებზე, ქანდაკებაზე, აივნებისა და კიბეების ბალუსტრადების რიკულებზე, მოხატულობაზე, გრავიურებზე.

11. სანატორიუმ „მეგობრობასა“ და სააბაზანო N6-ში გამოყენებული კომპოზიციები „ირმები სიცოცხლის ხესთან“ პარალელები გამოვლინდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე არსებულ მსგავსი შინაარსის რელიეფებში.

12. სანატორიუმ „მეტალურგის“ I კორპუსის ფასადების კუთხეებში და “საბჭოთა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი საკურორტო სამმართველოს კლინიკური სანატორიუმის შენობაზე” (შემდგომში “ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალი”) გამოყენებულ რელიეფებთან მსგავსება მოიძებნება სამთავისისა და ქაშვეთის ტაძრების დეკორატიულ გაფორმებაში.

13. სანატორიუმ „მეტალურგის“ I კორპუსის და სანატორიუმ „წყალტუბოს“ კარიბჭეებსა და სანატორიუმ „მეშახტეს“ ფასადებზე (სარკმლებსა თუ თაღებში) გამოყენებული სამყურა მოტივი წარმოჩნდა: სამთავისის, იკორთის, ერთაწმინდის გუდარეხის, ქაშვეთის ტაძრების შემთხვევაში აღმოსავლეთ ფასადებზე. სპეთის „ზედა მაცხოვრის“, პატარა ონის, სვეტიცხოვლის, ბალდის „ღვთისმშობლის“, სამების საკათედრო ტაძრის კანკელების მორთულობაში განსხვავებული რაოდენობით. XX ს.-ის ნაგებობებში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ჭიათურის საბაგირო გზის ქვედა სადგურის ფასადებზე, გაგრის პროპილეას მორთულობაში.

14. ოშკის სამხრეთ კარიბჭის რელიეფური დეკორი მსგავსებას პოვებს სანატორიუმ „წყალტუბოს“ კარიბჭის დეკორთან.

15. „სამთავისის“, „ალავერდის“, „იკორთასა“ და „ქაშვეთის“ ტაძრებში წარმოჩენილი სამთაღიანი კომპოზიცია სანატორიუმ „მეტალურგის“ I კორპუსის დასავლეთ ფლიგელის ფასადებზე მეორდება სახეცვლილი სახით. შენობის ფუნქციიდან გამომდინარე სანატორიუმის შემთხვევაში ამოღებულია ამ სამთაღიანი კომპოზიციის მთავარი ელემენტი ჯვარი, რომელიც ტაძრების შემთხვევაში ცენტრალური თაღის შუაში იყო ჩასმული. სანატორიუმ „მეტალურგის“ I კორპუსის დასავლეთ ფლიგელის ფასადებზე არსებული ზემოხსენებული კომპოზიციის ცენტრში სიცარიელეა, ხოლო „სამთავისისა“ და „ქაშვეთის“ ტაძრებში მსგავსი კომპოზიციის გვერდითა თაღების დამასრულებელი ტოლმკლავა ჯვრების ნაცვლად მცენარეული მოტივით დამშვენებული ორნამენტი ჩაუსვამს ავტორს.

16. სანატორიუმ „მეტალურგის“ კოტეჯების სარკმელთა მარაოსებრი რელიეფი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესამკობად გამოყენებულ დეკორთან ჰპოვებს არა ერთ პარალელს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ელემენტი პარხალის, ხახულის, ოშკის ტაძრებზე საღებავითაა შექმნილი. ყველაზე ახლოს მასთან სვეტიცხოვლის ტაძრის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე წარმოდგენილი მარაოსებრი რელიეფი სარკმლის სათაური დგას. გამოვავლინეთ მსგავსი დეკორატიული სარკმლის სათაურის არსებობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II კორპუსის ფასადზეც.

17. კაცხისა და იშხნის ტაძრების რელიეფები მცირე ცვლილებით გვხვდება „სამხედრო სანატორიუმის“ (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმი) შენობაზე არსებული აივნების რიკულებზე.

18. სამკურნალო-დასასვენებელი კურორტის, წყალტუბოს, ტოტალიტარული პერიოდის სანატორიუმებსა და სააბაზანოებზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ აქ ნაციონალურ ტრადიციასთან კავშირი არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე კუთხით გამოვლინდა. ქართული ეთნოგრაფიული ყოფისთვის დამახასიათებელი დეკორისა და ძველი ქართული სატაძრო არქიტექტურის გაფორმების ელემენტების გამოყენებასთან ერთად, ცალკეულ შემთხვევებში ძველი ქართული არქიტექტურისთვის სახასიათო არქიტექტურული ფორმებისა და მასალის გამოყენების მცდელობაც შეინიშნება. მონუმენტური, პომპეზური შენობების კლასიკურ ორდერულ სისტემაში ქართული დედაბოძის სახეების ჩართვა, ინტერიერსა თუ ექსტერიერში ქართული ჩუქურთმისა და შუა საუკუნეების ქართული ტაძრებიდან რელიეფური დეკორის გამოყენება, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტებით ინტერიერის შემკობა, თუ შადრევანში ტარიელისა და ვეფხვისა და ლომის ორთაბრძოლის სცენის ჩასმა უდაოდ მიუთითებს იმაზე, რომ ოსტატები ყოველმხრივ ცდილობდნენ ნაციონალურობის საკითხის წინ წამოწევას.

## რეკომენდაციები

1. სარესტავრაციო სამუშაოების მსვლელობისას უნდა დადგინდეს სარესტავრაციო შენობათა ნუსხა და განისაზღვროს ის ელემენტები, რომელთა შენარჩუნება სავალდებულოა სამუშაოების ჩატარებისას.
2. სარესტავრაციო პროცესის დაწყებამდე, ფუნქციაშეცვლილი შენობების შემთხვევაში უნდა დაკონკრეტდეს სამუშაოების ჩატარების სპეციფიკა. საერთაშორისო პრაქტიკამ აჩვენა, რომ რიგ შემთხვევაში სამკურნალო-გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩასატარებლად განკუთვნილი შენობების აღდგენისას უნდა მოხდეს მათი თანამედროვე სტანდარტებით მოწყობა, მოდერნიზება. უნდა შეირჩეს ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც შენობის მოდერნიზებისას არ დააკარგვინებს მას არქიტექტურულ სახესა და მხატვრულ-სტილისტურ მახასიათებლებს.
3. ხშირ შემთხვევაში ტერიტორიაზე განთავსებულ მთავარ კორპუსებთან ერთად ვხვდებოდით დამხმარე ნაგებობებს, კორპუსთა მაკავშირებელ სპეციალურ გადასასვლელებს და ა.შ., რაც ერთიანობაში ქმნიდა კონკრეტული სანატორიუმისა თუ სააბაზანოს არქიტექტურულ ანსამბლს. დღესდღეობით, დამხმარე ნაგებობათა უმეტესი ნაწილის დანგრევამ ან ძლიერმა დაზიანებამ არქიტექტურული ანსამბლის ერთიანობის რღვევა

გამოიწვია. ამიტომ, განსახილველად უნდა დადგეს ნაგებობათა აღდგენისა და მათში თავდაპირველი არქიტექტურული და მხატვრულ-სტილისტური გადაწყვეტების ავთენტურობის საკითხი.

4. ზოგიერთი დამხმარე ნაგებობის დემონტაჟის საკითხის წამოჭრისას უნდა იყოს გათვალისწინებული ძველის ჩანაცვლების ან მის ადგილზე გამწვანებული სივრცის მოწყობის საკითხი, რაც კონტექსტური უნდა იყოს ერთიანი არქიტექტურული ანსამბლთან მიმართებაში.
5. შენობათა აღდგენითი სამუშაოები უნდა წარიმართოს სახელწმიფოსა და კერძო სექტორების ერთობლივი მუშაობით.
6. სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებისას და გენგეგმის კონცეფციის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო პრაქტიკა და მათი შესწავლის საფუძველზე მოხდეს ურბანული ქსოვილის შესანარჩუნებლად ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა.
7. ვფიქრობთ, რომ აუცილებელია ზოგიერთი შენობის საფუძვლიანი შესწავლა და არქიტექტურული და მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების გათვალისწინებით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ძეგლის სტატუსის მინიჭება.
8. აუცილებლობას წარმოადგენს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რადგან ზემოჩამოთვლილი პროცედურები ვერ განხორციელდება ამ საკითხის განხილვის გარეშე.
9. საჭიროებას წარმოადგენს გარკვეული ზომების მიღება მოსახლეობის მხრიდან უხეში ჩარევების აღმოსაფხვრელად, მათ მიერ შენობათა დაზიანების, გარკვეული ნაწილების თვითნებური გადაკეთების თავიდან ასარიდებლად.

## გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:


1. Сталин И. О политических задачах университета народов Востока. Речь на собрании студентов КУТВ. 18 мая 1925 г. Сталин И.В. *Сочинения.* Москва. Государственное издательство политической литературы, 1952. Т. 7. С. 138.
2. Хмельницкий Д. Архитектура Сталина: Психология и стиль. Москва. Прогресс-Традиция. 2007.
3. Цит. по: Перевод письма Ле Корбюзье, переданного через М.Я. Гинзбурга / Самохина Т.Н. Из истории создания Союза советских архитекторов. К 75-летию творческого Союза зодчих. Москва. 2007. С. 133.
4. Щусев А., Национальная форма в архитектуре, Журнал „Архитектура СССР». Орган Государственного комитета по гражданскому строительству и архитектуре при Госстрое СССР и Союза Архитекторов СССР. Издательство литературы по строительству. Москва. 1940. N12. გვ. 53-57.
5. ჯანბერიძე ნ., კინწურაშვილი ს. „საბჭოთა საქართველოს არქიტექტურა“. მოსკოვი. თბილისი. 1958.

Nino Barnabishvili

# Architecture of the totalitarian period in the context of the architectural-artistic and stylistic features of the medical-recreation resort-Tskaltubo

DISSERTATION

Submitted in partial satisfaction of the requirements for the academic degree of

DOCTOR OF ARTS

Georgian Technical University

Tbilisi 0175, Georgia

© Copyright Nino Barnabishvili 2022

## Abstract

The dissertation discusses the architecture of the totalitarian period in the context of the architectural-artistic and stylistic peculiarities of the medical-recreation resort-Tskaltubo.

References about the resort, which is rich in colorful landscapes, extraordinary landscapes, healing waters, and sights we find in numerous written sources, however, a thorough study of the existing sanatoriums, baths, buvettes, boarding houses or hotels has not been made in spite of such a popularity of Tskaltubo. Although the amount of literature published about Tskaltubo is large, most of these references are scattered and relate to the resort waters and the healing properties of these waters. Given the above, our research topic is important in the context of working on the comprehensive planning concept. In particular, we are talking about restoration and strengthening works in the buildings mentioned above.

There were 22 sanatoriums, boarding houses and hotels in Tskaltubo at different times: "Rioni" (later II building "Imereti"), "Tsiskari", "Samgurali", "Sanatorium of the resort division N1" (later the boarding house "Tskaltubo"), “Megobroba”, “Clinical Sanatorium of the Main Resort Division of the Ministry of Health of the Soviet Georgia” (later “Tskaltubo Branch of the I. Koniashvili Institute of Spa and Physiotherapy”), Sanatorium “Tskaltubo” (formerly Hotel “Phasis”) and "Stalin's Cottage", Boarding House-Polyclinic "Savane", "Military Sanatorium", "Rkinigzeli", "Imereti", "Tbilisi", "Meshakhte", "Metalurgi", "Gelati" (II building of “Metalurgi”), "Iveria" (II building of “Meshakhte”), "Medea", "Sinatle",

"Geologi", "Aia", "Sakartvelo", Hotel "Intourist", which to some extent combined the functions of a sanatorium and, if necessary, could receive guests for medical procedures and 9 Bath houses: Bath N1, Bath N2, Bath N3, Bath N4, Bath N5, Bath N6, Bath N7, Bath N8, Bath N9 and two buvettes: 1. “The Stomach water” N4a (“Kutchis Tskhali”), 2. "Beauty source" N7a (“Silamazis Tskharo”).

The introduction of the dissertation substantiates the actuality of the paper, formulates the purpose and objectives of the research, defines the scientific novelty and the practical value of the research results.

Structurally the dissertation consists of four chapters. Chapter I is devoted to a review of the literature. Existing publications and archival materials about Tskaltubo were processed. The analysis of the above-mentioned information allowed us to identify the topics that are less researched in relation to Tskaltubo and whose research is very relevant.

Chapter II - Influence of the architectural heritage features on the formation of architectural type of the totalitarian period medical-recreational resort, Tskaltubo - is divided into four sections: In the first section we review the architecture of the totalitarian period, the characteristics of common architectural styles, etc. In the second section we will discuss the historical aspect of the establishment of Tskaltubo as a medical-recreational resort of this period. The section discusses all the events that influenced the formation of Tskaltubo as a resort and the development of a comprehensive planning. In the third section we discuss the architectural-stylistic features of the medical- recreation resort, Tskaltubo, sanatoriums, boarding houses, baths in the context of the architecture of the totalitarian period. There are discussed built sanatoriums, baths, boarding houses. The fourth section provides an overview of pre-1935 and post-1955 sanatoriums, boarding houses, hotels, and baths. We think that without this subsection, the study of the above-mentioned topic would be incomplete, because it is together with these buildings that creates the unified, urban unity of Tskaltubo and determines its appearance.

Chapter III - Architectural-Artistic and Stylistic Peculiarities of the Totalitarian Period in the Historical Context of the USSR Medical Spa Resorts. In this chapter there are discussed the sanatoriums and baths of Russia, Armenia, Azerbaijan and Ukraine as examples, which allow us to follow how they changed and what trends were observed in terms of building sanatoriums and baths in different republics of the USSR. We do not discuss the experiences of Uzbekistan, Tajikistan, Turkmenistan, Kazakhstan, Kyrgyzstan, Belarus, Moldova, Latvia, Lithuania and Estonia as examples of the construction of spa resorts, because there are no balneological resorts in some of the above republics at all, in some of them, there have not been built sanatoriums during the period of our study, and instead of building new ones, the function-modified buildings of the XIX-XX centuries are used, in some of them there are not the architectural and artistic-stylistic features characteristic of the totalitarian period.

Chapter IV discusses the artistic-stylistic solutions of the medical- recreational resort, Tskaltubo, sanatoriums, boarding houses and baths in the context of national motives. At the beginning of the chapter there is discussed about how the slogan "national in form and socialist in content" was perceived in Georgia. In the sanatoriums, boarding houses and baths built on the territory of Tskaltubo, the connection with the national tradition was revealed in different ways. Sometimes in architectural form, sometimes in the use of artistic-stylistic decoration elements, sometimes in material, and so on.

The final conclusions are based on the analysis of the results of our research. At the end of the dissertation are presented the recommendations that can be taken into account during the restoration-rehabilitation works of the architecture of the totalitarian period medical-recreation resort Tskaltubo.